

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2017 წლის მე-12 მოწვევის სხდომის
დღის წესრიგი:

27 აპრილი, 2017 წელი

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის დამტკიცების, აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტის“ მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტორული შემოწმების დასკვნის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/მომხს: მამუკა ზარანდია - აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტის“ აუდიტორ - დირექტორი/

/მომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

2. მერების შეთანხმებაზე კლიმატისა და ენერგეტიკისათვის მიერთებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 (ცხრა) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ თხოვნის ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: სევერიანე შენგელია - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

6. “თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (თვითმმართველი ერთეულის) მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №27/141 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/